ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის სხდომაზე

განხილულ საკითხთა ნუსხა

1.,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა- ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N 12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N 13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა- ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N7

ქ.ქობულეთი 28 ივნისის 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 12-00 საათზე

დამთავრდა: 14-00 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ნათია თხილაიშვილი, გურამ აბაშიძე, დავით წულუკიძე, თედო ტაკიძე, ლაშა ხახუტაიშვილი, ლია შაქარიშვილი, გიორგი გოგიტიძე, თეა მოწყობილი, ავთანდილ გოგიბერიძე, ედნარ თურმანიძე, დავით პაპუნაიშვილი, გელა შაქარიშვილი, იოსებ ჟღენტი, ირაკლი ქათამაძე, ზურაბ ხინიკაძე, ნატო შამილიშვილი, მირზა მახარაძე, ალექსანდრე ხიდაშელი, ზაზა თხილაიშვილი, გიზო ხალვაში, არჩილ ჯაფარიძე, ჯეირან წულუკიძე, იამზე ცალქალამანიძე, სოსო ქიზინიძე, გიორგი კარალიძე, ირაკლი ტაკიძე, ედუარდ ქავჯარაძე, მერაბ ცინცაბაძე, ლაშა კომახიძე, შოთა გოგიტიძე, დავით ოქროპირიძე.

სხდომას არ ესწრებოდა: ჯემალ ბლადაძე, მამია ჟორდანია, ეკატერინე კოჭლამაზაშვილი, ილონა ანანიძე, სოლომონ ბაჯელიძე, ლევან მახარაძე, ია მესხიძე.

სხდომას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები: გელა გოგიტიძე, მინდია მეგრელიძე, გიორგი ტაბიძე და სხვა.

აჭარის - TV საზოგადოებრივი მაუწყებელი;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) - მამუკა ქათამაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - მამუკა გოგიტიძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის სხდომის ოქმის შედგენა დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მანონი ვერულიძეს.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან ხაზი გაუსვა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, მშვიდობა უსურვა უკრაინას და მთელ მსოფლიოს. მან სოლიდარობა გამოთქვა უკრაინის მიმართ და წუთიერი დუმილით საკრებულოს წევრებს სთხოვა პატივი მიეგოთ ომში დაღუპული გმირების მიმართ. შემდეგ გააცნო დეპუტატებს წარმოდგენილი დღის წესრიგი და დასვა შეკითხვა აქვთ, თუ არა შენიშვნები ან წინადადებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა მერაბ ცინცაბაძემ ითხოვა წარმოდგენილ დღის წესრიგს დაემატოს საკითხი - საქართველოს მთავრობისადმი და პრემიერ მინისტრისათვის მადლობის გადახდის თაობაზე, გაწეული შრომისათვის, მართლმადიდებლობისადმი, რომ არა ღარიბაშვილი და ,,წმინდა ბიძინა“ ქვეყანა არ იქნებოდა ასეთი წარმატებული.

აღნიშნულ განცხადებას ხმაური და სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე გიორგი გოგიტიძემ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქმედებას მორიგი სპექტაკლი უწოდა, მისი თქმით მათი მცდელობა ყოველთვის არის პოპულისტური, რომ მოსახლეობა შეიყვანონ შეცდომაში, რომ წმინდანის ხსენება და

მართლმადიდებლობა არ არის საქილიკო და საკრებულოს სხდომაზე უნდა იყოს დასმული საკითხი, რომელიც იქნება მოსახლეობის ინტერესებზე და მის კეთილდღეობაზე ორიენტირებული, რომ საკრებულო მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად არის არჩეული.

ხმაური მოჰყვა საკრებულოს წევრების მხრიდან ერთმანეთის მისამართით გაკეთებულ შეურაცმყოფელ განცხადებებს. რამაც დროებით სხდომის შეჩერება გამოიწვია. ერთმანეთს ნაციონალური მოძრაობის წევრები და მმართველი პარტიის დეპუტატები დაუპირისპირდნენ.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა დეპუტატებს პოპულისტური განცხადებებისგან თავშეკავება ურჩია.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე ლაშა კომახიძე დაინტერესდა, თუ რა ბედი ეწია მუნიციპალიტეტის ქვეპროგრამას, რომელიც ეხება პენსიონერებისათვის 200 ლარიანი მედიკამენტებით დახმარებას, რომელიც ამ ეტაპისათვის შეჩერებულია? ასევე განცხადება გააკეთა მის ფეისბუქ გვერდე გაკეთებული პოსტის მიმართ, რაც კამათის მიზეზი გახდა.

ოპოზიციის წევრმა იამზე ცალქალამანიძემ - კორუფციაში ბრალი დასდო ოპონენტებს. მან დაბა ოჩხამურში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის პროცესში შერჩევითი დამოკიდებულება დაასახელა.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე გიორგი გოგიტიძემ გააპროტესტა აღნიშნული საკითხი, მისი თქმით საკრებულო არის საკანონმდებლო ორგანო და არა ვინმეს პირადი ფეისბუქ გვერდის მსჯელობით დაინტერესებული. მან მოუწოდა ოპოზიციის წევრებს საკრებულოს რეგლამენტის დაცვისკენ და პროცესის სწორად წარმართვისკენ. მისი თქმით საკრებულოს წევრების ვალდებულებაა მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება. ხოლო, რაც შეეხება სახლების გადახურვის პროცესს, სამუშაოები მიმდინარეობს ეტაპობრივად და მმართველი გუნდი ორიენტირებულია მხოლოდ საქმეზე.

ნათია თხილაიშვილმა განმარტება გააკეთა 200 ლარიან მედიკამენტების პროგრამასთან დაკავშირებით, მისი თქმით ეს იყო იმ მოწყვლადი კატეგორიის მქონე ბენეფიციარებისათვის მედიკამენტების მიწოდება, რომელთათვის სასიცოცხლოდ აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მოწყვლადი კატეგორიის მქონე მოსახლეობას მედიკამენტების შეძენა არ შეუძლია. ეს იქნება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, შშმ პირები, ომის ვეტერანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპული ოჯახის წევრები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები მარტოხელა ასაკით პენსიონერები -რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას წელიწადში ერთხელ 200 ლარიან დახმარებას მედიკამენტების ვაუჩერის სახით გაეწიათ დახმარება. ეს პროგრამა იყო აჭარის არ მთავრობის გადაწყვეტილებით მიღებული მიზნობრივი ტრანსფერით გაკეთებული პროგრამა, რომლებიც ექსპერტებმა შეიმუშავა და მუნიციპალიტეტს გარკვეული გამოყოფილი თანხები გადაერიცხა. ყველაზე მეტი 600 000 იყო ქობულეთზე გადმორიცხული. პანდემიის დროს, როდესაც პაციენტებს ენიშნებოდათ მედიკამენტები არ გააჩნდათ საშუალება, მათთვის აღნიშნული პროგრამით ხელშეწყობა. რაც შეეხება წლევანდელ წელს, რადგან პროგრამა იყო მიზნობრივი, ამოიწურა თანხა. ეს არ ნიშნავს, რომ ბიუჯეტის ცვლილების დროს მოხდეს დამატება, ეს იყო მიზნობრივი ტრანსფერით გაკეთებული პროგრამა. აჭარის არ მთავრობას თუკი ექნება რაიმე სახის ცვლილება ყველა მუნიციპალიტეტისათვის იქნება ერთნაირი მიდგომა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მ. ცინცაბაძის ინიცირებული საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი -23

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი:

1.,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: დავით წულუკიძე)

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: დავით წულუკიძე)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა- ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N 12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: დავით წულუკიძე)

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N 13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: დავით წულუკიძე)

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა- ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: დავით წულუკიძე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი -5

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 32 წევრი.

1.,, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით წულუკიძემ, საკითხზე გადასვლამდე ყურადღება გაამახვილა რეგლამენტზე, რომელიც საკრებულოს სამოქმედო დოკუმენტია და ითვალისწინებს გარკვეულ პროცედურებს, რომელსაც ყველა საკრებულოს წევრის დაცვა სჭირდება. საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიას შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწერა ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს ორგანული კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნას ცვლილება თანახმად წარმოდგენილი სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით.

მერაბ ცინცაბაძე - დასვა შეკითხვა წარმოდგენილ პროექტში მითითებულია, რომ ,,სასამართლომ სცნო მხარდამჭერის მიმღებად ან/და გამოაცხადა გარდაცვლილად“ ის დაინტერესდა, თუ რომელ მხარდამჭერზეა საუბარი? აქვე აღნიშნა, რომ მე-6 პუნქტში მითითებულია ახალარჩეული და ახლადარჩეული, რაც მოითხოვს გასწორებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით თედო ტაკიძემ განმარტა, რომ შშმ პირთა მიდგომა შეიცვალა და გახდა მხარდამჭერთა მიმღები. შესაბამისად ცვლილება შევიდა კანონში და ქმედით უუნაროდ განისაზღვრა მხარდამჭერის მიმღებად.

საკრებულოს წევრმა შოთა გოგიტიძემ გააკეთა განცხადება, სასურველია იყოს ერთმანეთის მოსმენა და საკრებულოს სხდომა ნუ გახდება თავშეყრის ადგილი, მისი თქმით აქ იყო კორუფციულ გარიგებებზე საუბარი, 2004 წლიდან 2012 წლამდე ძალიან ბევრი ოჯახები იქნა არასამართლიანად გაუბედურებული მათ შორის მისი ოჯახიც იყო უსამართლოდ განწირული. მან მოუწოდა ორივე მხარეს კორექტულობისკენ და საკითხის ირგვლივ მსჯელობისკენ.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი დაეთანხმა შოთა გოგიტიძის განცხადებას და განაცხადა, რომ ,,საკრებულოს სხდომაზე ყოველთვის წარმოდგენილია აქტუალური საკითხები. მსჯელობა იყოს მხოლოდ საკითხთან დაკავშირებით, რომ საკრებულოს დეპუტატებმა უნდა ვიმსჯელოდ მხოლოდ მოსახლეობის კეთილდღეობაზე, სხვა საქმეების გასარკვევად შეგვიძლია ნებისმიერი დრო დაუთმოთ ერთმანეთს“.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 32 წევრი.

მიღებულია დადგენილება N15

(დადგენილება თან ერთვის)

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით წულუკიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიას შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწერა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა -,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია შეტანილ იქნას ცვლილება - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის სამსახური“-ს დებულებაში თანახმად წარმოდგენილი სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის პლაჟების) 2022 წლის საკურორტო სეზონისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ - საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 32 წევრი.

მიღებულია დადგენილება N16

(დადგენილება თან ერთვის)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა- ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით წულუკიძემ, საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიას შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწერა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა- ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი

სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია შეტანილ იქნას ცვლილება- ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დებულებაში თანახმად წარმოდგენილი სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა-,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 32 წევრი.

მიღებულია დადგენილება N17

(დადგენილება თან ერთვის)

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით წულუკიძემ, საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიას შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწერა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა- ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N 13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია შეტანილ იქნასა ცვლილება - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახური“-ს დებულებაში თანახმად წარმოდგენილი სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 32 წევრი.

მიღებულია დადგენილება N18

(დადგენილება თან ერთვის)

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა- ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით წულუკიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიას შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწერა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივნისის №114-1142215814 მომართვა- ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი, კომისიას და მიზანშეწონილად მიაჩნია შეტანილ იქნას ცვლილება - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ"-ს დებულებაში თანახმად წარმოდგენილი სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა -,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 32 წევრი.

მიღებულია დადგენილება N19

(დადგენილება თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დამთავრებულად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

247001890

დ.მჭედლიშვილი